წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი # 6

ქ. წალკა; 21.06.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ავთანდილ ვანაძე, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარი ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიანი, ლევონ მარკოსიან, ზვიად გელაძე, ჯემალი ბერიძე, ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსეი მუხსიევი, რუბენ ანესიან, ჯემალ ნაკაიძე, ლაერტ ტოროსიან, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე,მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფეოხარი პარასკევოვ.**

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:25 სთ;

დღის წესრიგი:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.23.177) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა;

/მომხსენებელი: ფეოხარი პარასკევოვ წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე;
თანამომხსენებელი: ლევონ მარკოსიან ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე/;

სხდომამ განიხილა:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.23.177) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა;

მომხსენებელმა: ფეოხარი პარასკევოვმა საკრებულოს გააცნო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვა წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.23.177) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ და განუცხადა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის გადაცემა იგეგმებოდა წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. სამებაში ახალი სკოლის მშენებლობისთვის. ვინაიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტო გეგმავს სოფ. სამებაში არსებული სკოლის რეაბილიტაციას და არა ახალი სკოლის მშენებლობას აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოსთვის მიწის ნაკვეთის გადაცემა აღარ მიიჩნევა მიზანშეწონილად;

თანამომხსენებელმა: ლევონ მარკოსიანმა საკრებულოს გააცნო ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის დასკვნა წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.23.177) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემაზე უარის თქმის შესახებ ;

საკრებულომ ღია კენჭისყრით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი), გადაწყვიტა უარი ეთქვას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 85.27.23.177) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნაზე;

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი